

ქალები და სოციალური დაცვა საქართველოში

სოციალური დაცვის სქემები და პროგრამები საქართველოში დარბი მოსახლეობის რესურსებით უზრუნველყოფის ძირითადი ინსტრუმენტებია. ამასთან, ისინი მხოლოდ სიღარიბის შედეგების მინიმუმამდე დაყვანისკენაა მიმართული, რაც სიღარიბის შემსუბუქებასა და ბენეფიციართა უკიდურეს სიღარიბეში ჩავარდნის თავიდან აცილებაში გამოიხატება. სოციალური დაცვის პროგრამებისადმი გენდერული თანასწორობის მიდგომას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქალებისა და კაცებისათვის სიღარიბისგან თავის დაცვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფად. ამ თემატურ მიმოხილვაში სოციალური დაცვის სისტემის რამდენიმე ასპექტი და საქართველოში ქალთა საჭიროებებზე მათი რეაგირების გზებია წარმოდგენილი.

სოციალური დაცვის სისტემის ზოგიერთი გენდერული ასპექტი საქართველოში

საქართველოში სოციალური დაცვის, სულ მცირე, ერთი პროგრამით მოსახლეობის ნახევარზე ნაკლები სარგებლობს. ეს მაჩვენებელი ევროპისა და ცენტრალური აზიის უმეტეს ქვეყნებში გავრცელებულ ანალოგიურ მაჩვენებლებზე უფრო დაბალია.¹ გარდა იმისა, რომ სოციალური დაცვის სისტემა სიღარიბის შემცირების ინსტრუმენტია, იგი ასევე, წარმოადგენს ადამიანის უფლებას და გათვალისწინებულია ადამიანის უფლებათა განმსაზღვრელ გაეროს რამდენიმე შეთანხმებაში, მათ შორის, „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კონვენციაში:


მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა, რათა მოხდეს ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრა დასაქმების სფეროში და გენდერული თანასწორობის საფუძველზე დაცული იყოს ქალებისა და კაცების თანაბარი უფლებები, კერძოდ: ... (ე) სოციალური დაცვის უფლება, განსაკუთრებით პენსიაზე გასვლის შემდეგ, უმუშევრობის, ავადმყოფობის, არაქმედიტუნარიანობის, ხანდაზმული ასაკის ან სხვა სახის შრომისუნარიანობის დაქვეითების შემთხვევებში, აგრეთვე -ანაზღაურებადი შვებულების უფლება.²



ხანდაზმულობის პენსიისა და საარსებო მინიმუმის შემწეობის ბენეფიციართა უმრავლესობას ქალები წარმოადგენენ, თუმცა, სოციალური პაკეტით უფრო მეტი კაცი სარგებლობს.

გრაფიკი 1

სოციალური დაცვის სისტემის მიერ დაფარული მოსახლეობის პროპორცია სქესის მიხედვით. ეს მოსახლეობა მოიცავს ბავშვებს, უმუშევრებს, მოხუცებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, ორსულ ქალებს, ახალდაბადებულ ბავშვებს, სამუშაო ადგილზე დაზარალებულებს, დარიბებსა და მოწყვლად პირებს (მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორი 1.3.1) (პროცენტები)



როგორც მეორე გრაფიკზეა წარმოდგენილი, საქართველოს სოციალური დაცვის სისტემა ცხოვრების ციკლისა (მაგალითად, ხანდაზმულობის პენსია, შეზღუდული შესაძლებლობების დახმარება) და ცხოვრების ციკლის მიღმა არსებული დახმარებებისგან (მაგალითად, მიზნობრივი სოციალური დახმარება) შედგება. თუმცა, ის არ ითვალისწინებს სასიცოცხლო ციკლის ისეთ საკვანძო საკითხებს, როგორიცაა სანარმოო ტრავმით მიღებული დაზიანების ანაზღაურება, უმუშევრობის დაზღვევა, შემწეობა ზრდასრულთათვის მარჩენალის დაკარგვის გამო, ორსულობასთან და ავადმყოფობასთან დაკავშირებული სათანადო დახმარება.⁴

კაცებთან შედარებით, ქალებს ნაკლებად მიუწვდებათ ხელი სოციალური დაცვის პროგრამებზე, რადგან ისინი უფრო მეტად არიან დასაქმებული ნახევარ განაკვეთზე

ან არასტანდარტულ სამუშაოზე.⁵ ვინაიდან, სოციალური დაცვის სისტემა სიღარიბის შემცირების მნიშვნელოვანი ეროვნული ინსტრუმენტია, მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ სიღარიბის გამოცდილება, ქალებისა და კაცების შემთხვევაში, განსხვავდება სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში. ამ სხვაობას შინამეურნეობებსა და საზოგადოებაში არსებული გენდერული განსხვავებები განაპირობებს. უფრო მეტიც, საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ შინამეურნეობაში გავრცელებული ძალადუღობის დისბალანსის გამო ინდივიდებმა შესაძლოა, თანაბრად ვერ ისარგებლონ დახმარების პროგრამებით.

ამდენად, ქალებისთვის უფრო მეტად არახელსაყრელია ისეთი პროგრამები, რომლებიც დახმარებას შინამეურნეობის უფროსზე, როგორც წესი, კაცზე გასცემენ.⁶

გრაფიკი 2

სასიცოცხლო ციკლის საკვანძო რისკები საქართველოში შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სოციალური დაცვის (მინიმალური სტანდარტების) კონვენციის მიხედვით, 1952 (# 102)

	ბავშვები	სამუშაო ასაკი	ხანდაზმული	ცხოვრების ციკლის უზრუნველყოფის ძირითადი ხარვეზები
	 	 		(ჯერ) არ არსებობს სამუშაოზე უბედური შემთხვევის დაზღვევა
C102-ში განერილი ცხოვრების ციკლის დახმარება	ბავშვთა დახმარების პროგრამა	ბიულეტენის ანაზღაურება (მხოლოდ შრომის კოდექსით)	სახელმწიფო პენსია (საყოველთაო ხანდაზმულობის პენსია)	არ არსებობს უმუშევრობის დაზღვევა
	სოციალური პაკეტი მარჩენალ-დაკარგულთათვის	დეკრეტული დახმარება (მხოლოდ ფორმალურად დასაქმებულთათვის)	დაგროვებითი პენსია (სავალდებულო ინდივიდუალური ანგარიში)	არ არსებობს ცოცხლად დარჩენილთა დახმარება
	სოციალური პაკეტი - შშმ (საყოველთაო შშმ პენსია)			ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის და დროებითი შრომისუნარობის დახმარების დაბალი სამართლებრივი მოცვა
	საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა			
ციკლების ციკლის მიღმა დახმარება	მიზნობრივი სოციალური დახმარება, „კატეგორიული“ შეღავათები (მაგალითად, იძულებით ადგილნაცვალი პირებისთვის)			

წყარო: შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია და გაეროს ქალთა ორგანიზაცია 2020.

ხანდაზმულობის პენსია

საქართველოს მთავრობის მიერ სოციალური დაცვისთვის 2020 წელს გაცემულმა დახმარებამ მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტის 27 პროცენტი შეადგინა.⁷ ხანდაზმულობის უნივერსალური საპენსიო სქემა ერთ-ერთი მსხვილი სოციალური დახმარების პროგრამაა საქართველოში. იგი ფიქსირებულ დახმარებას გულისხმობს ყველა პენსიონერისთვის - კაცებისთვის 65 წლიდან, ხოლო ქალებისთვის 60 წლიდან. ზოგადად, პენსიები და სოციალური დახმარება მნიშვნელოვნად ამცირებს სიღარიბის მაჩვენებელს, განსაკუთრებით კი ხანდაზმული მოქალაქეების შემთხვევაში. ღარიბი შინამეურნეობები ხშირად პენსიებიდან და სოციალური დახმარებიდან მიღებულ შემოსავალზე არიან დამოკიდებული. მაგალითად, მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის მიხედვით, შინამეურნეობებს, რომლებიც მხოლოდ პენსიონერებისგან შედგება, სიღარიბეში ცხოვრების მნიშვნელოვნად დაბალი შანსი აქვთ, სხვა ტიპის შინამეურნეობებთან შედარებით.⁸ უფრო მეტიც, როდესაც შინამეურნეობის წევრი პენსიის აღებას იწყებს, ოჯახის შემოსავალი იზრდება 30 პროცენტზე მეტით, ხოლო სიღარიბის რისკი 4 პროცენტით მცირდება.⁹

2020 წელს საქართველოში ხანდაზმულობის პენსია 783 705 პირმა მიიღო, მათ შორის ქალების 71 პროცენტმა (559 189) და კაცების 29 პროცენტმა (224 516).¹⁰ ასეთი განაწილება ქალების მოსალოდნელი სიცოცხლის უფრო მაღალი ხანგრძლივობითა (77.7 წელი - ქალებისთვის, 69.1 - კაცებისთვის) და მათთვის უფრო დაბალი ოფიციალური საპენსიო ასაკით (60 წელი - ქალებისთვის, 65 - კაცებისთვის) აიხსნება. პენსიის გარდა, ხანდაზმულების მნიშვნელოვანი ნაწილი მიზნობრივ სოციალურ დახმარებასაც იღებს, რომლის მიღების ალბათობა ქალებში ორჯერ მეტია, ვიდრე კაცებში. მთლიანობაში უნდა აღინიშნოს, რომ ხანდაზმულობის პენსია საკმარისი არ არის მრავალმხრივ მოწყვლადი ასაკოვანი პირებისთვის. მსგავსად ამისა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შეიძლება, ეკუთვნოდეთ სოციალური პაკეტი, რომელიც მიზნობრივი სოციალური დახმარებისგან განსხვავდება, თუმცა, არ შეუძლიათ პარალელურად სოციალური დახმარების პაკეტიც და ხანდაზმულობის პენსიითაც ისარგებლონ. და რადგანაც ეს უკანასკნელი თანხობრივად სოციალური დახმარების ნებისმიერ პაკეტს აღემატება, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, რომლებიც საპენსიო ასაკში არიან, არანაირი მოტივაცია არ რჩებათ, შეზღუდული შესაძლებლობების ოფიციალური სტატუსისა და შესაბამისი სარგებლის მისაღებად დარეგისტრირდნენ.¹¹

უნივერსალურმა სახელმწიფო პენსიამ (წინასწარი შენატანის გარეშე) შესაძლოა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ქალებისთვის, სულ მცირე, ბაზისურ პენსიაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. 2018 წელს საქართველოში ახალი დაგროვებითი საპენსიო სისტემა დამტკიცდა, რომელიც უნივერსალური სახელმწიფო პენსიის პარალელურად იარსებებს. ვინაიდან ქალები ეკონომიკურად კაცებზე არააქტიურები არიან, ხოლო დასაქმების შემთხვევაში მათი ანაზღაურება უფრო დაბალია, დაგროვებითი საპენსიო სისტემა ქალისა და კაცის შემოსავლებს შორის განსხვავებას კაცების სასარგებლოდ წარმოქმნის. მეორე მხრივ, კი უნივერსალური სახელმწიფო პენსია - როგორც ხანდაზმულობის შემოსავლის წყარო განსაკუთრებით დაბალი და საშუალოზე დაბალი შემოსავლის ქვეყნებში - კაცებსა და ქალებს შორის ამ მხრივ არსებულ განსხვავებას ამცირებს.¹²

მარჩენალდაკარგულის შემწეობა: სოციალური დახმარების პაკეტი მარჩენალის გარეშე დარჩენილი პირებისთვის

მარჩენალდაკარგულის შემწეობა ფულადი დახმარებაა მათთვის, ვინც ოჯახის მარჩენალი დაკარგა. სოციალური დახმარების ასეთი პაკეტი საქართველოში მხოლოდ 18 წლამდე ბავშვებს ეძლევათ. ამ დახმარებით ვერ სარგებლობენ ზრდასრულები, რომელთაც მეუღლე ან პარტნიორი გარდაეცვალათ. უშვილო წყვილების შემთხვევაში კი უფრო მეტიც - ოჯახის მარჩენალის გარდაცვალებისას, მეუღლე აღნიშნული შემწეობის გარეშე რჩება.

მარჩენალდაკარგულის შემწეობა მეუღლეებისთვის თავდაპირველად მაშინ შეიქმნა, როდესაც ქალების დასაქმება იშვიათი იყო, ხოლო შობადობის მაჩვენებელი - მაღალი. აღნიშნული დახმარების სამიზნე ჯგუფს მარჩენალის გარეშე დარჩენილი ოჯახები წარმოადგენდნენ, ახლა კი ჩნდება კითხვა: საჭიროა თუ არა ასეთი სქემა იმ ეპოქაში, რომელშიც ქალთა დასაქმების მაჩვენებელი გაიზარდა, ხოლო შობადობისა - შემცირდა? ზოგიერთი მკვლევრისა და პოლიტიკოსის მტკიცებით, იდეალური გენდერული თანასწორობის პირობებშიც კი, სავალდებულო საოჯახო თანადაზღვევა საჭირო და გამართლებულია, რადგან ნაკლებად სავარაუდოა, რომ წყვილები შინამეურნეობაში მკვეთრ ეკონომიკურ ცვლილებებს წინასწარ გეგმავდნენ.¹³ ქვეყნების უმრავლესობა მარჩენალდაკარგულის შემწეობას იმ ზრდასრულებისთვის გასცემს, რომლებმაც შინამეურნეობაში პარტნიორის საქმიანობიდან შემოსავალი, პენსია, ან სხვა სახის დახმარება დაკარგეს.

გარდა ამისა, დასაქმებასა და შრომის ანაზღაურებაში გენდერული სხვაობის პირობებში, დახმარების ამგვარი სქემების არარსებობას, შეიძლება, მძიმე შედეგები მოჰყვეს ქვრივი ქალებისთვის, რომლებიც საქართველოში დაქვრივებულ პირთა 86 პროცენტს შეადგენენ და მათი პარტნიორის გარდაცვალების შემთხვევაში მარჩენალის დაკარგვის გამო სახელმწიფო შემწეობაზე ხელი არ მიუწვდებათ.¹⁴ ეს ქალები ფინანსური დახმარების გარეშე მაშინ რჩებიან, როდესაც შრომის ბაზარზე მათი დაბრუნება რთულია. ამგვარად, ბრძანარულთათვის მარჩენალდაკარგულის შემწეობის არარსებობა მნიშვნელოვან ხარვეზს აჩენს სოციალური დაცვის სისტემაში და ეს არაპროპორციულად აისახება ქალებზე.

ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულების ანაზღაურება

დედობის დაცვა, რაც სიღარიბისა და ქალთა მონყვლადობის პრევენციისა და შემცირების პოლიტიკის მნიშვნელოვანი კომპონენტია, კვლავაც გამოწვევად რჩება საქართველოში. ამჟამად საქართველოში შრომითი ურთიერთობები ორი სქემით რეგულირდება. პირველი სქემა განსაზღვრულია შრომის კოდექსით და ყველა დასაქმებულს ეხება, ხოლო მეორე სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შესახებ საქართველოს კანონით არის დადგენილი და მხოლოდ საჯარო მოსამსახურეებს ეხება.¹⁵ შრომის დაცვის სტანდარტები საჯარო მოსამსახურეებისთვის უფრო მაღალია, ვიდრე სხვა დასაქმებულებისთვის.¹⁶ მაგალითად, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შესახებ საქართველოს კანონის ფარგლებში საჯარო მოსამსახურეები და პოლიტიკურ სფეროში დასაქმებულები სრულად იღებენ 183 დღის კომპენსაციას (200 დღის ტყუპების ან რთული მშობიარობის შემთხვევაში, ხოლო ერთ წლამდე ბავშვის შვილად აყვანის შემთხვევაში - 90 დღის კომპენსაციას) მაშინ, როცა კერძო და საჯარო სექტორში მომუშავე პირებისთვის მხოლოდ ერთჯერადი კომპენსაცია (ფულადი დახმარება) არის განსაზღვრული - 1 000 ლარის ოდენობით ორსულობის, მშობიარობის, ბავშვის მოვლისა და ბავშვის შვილად აყვანისთვის გამოყოფილ იგივე რაოდენობის დღეებზე. 2020 წლის სექტემბერში შრომის კოდექსში შესულმა ცვლილებებმა ქალების დაცვის მხრივ გარკვეული გაუმჯობესება შემოიტანა, მათ შორის ის, რომ დეკრეტული შვებულების შემდეგ ქალებს მანამდე არსებულ სამუშაო ადგილზე დაბრუნება შეუძლიათ.¹⁷ გარდა ამისა, ანაზღაურებადი შვებულების 183 დღე გაიყო და შემდეგნაირად გადანაწილდა: 126 დღე დეკრეტული შვებულებისთვის და 57 ბავშვის მოვლისთვის.¹⁸

საქართველოში ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლისთვის განკუთვნილი დეკრეტული შვებულების განმსაზღვრელი რეგულაციები შემდეგ სირთულეებს უკავშირდება:

- ა. კომპენსაცია ყოვლისმომცველი და ინკლუზიური არ არის. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში დასაქმებულ ქალებს გახანგრძლივებული დეკრეტული შვებულებით სარგებლობა შეუძლიათ, კერძო და ზოგიერთ საჯარო ორგანიზაციებში ასეთი შვებულების დღეების ანაზღაურება ადეკვატურად არ ხდება;
- ბ. შვებულების განმსაზღვრელი რეგულაციები შედარებით მონყვლადი ქალების კონკრეტულ საჭიროებებზე მორგებული არ არის. ქალებს, რომლებიც ეკონომიკურად არააქტიურები ან უმუშევრები არიან, ასევე მათ, ვინც არაფორმალურ სექტორში არასტანდარტულ სამუშაოს ასრულებს, ბავშვის გაჩენის ან შვილად აყვანის შემთხვევაში არანაირი სახის ფულადი დახმარება არ ეძლევათ. მაგალითად, არაფორმალურ ეკონომიკაში ჩაბმული ოჯახში მომუშავე ქალები, რომლებიც შრომის კოდექსის მიღმა რჩებიან, ანაზღაურებად დეკრეტულ შვებულებას ვერ იღებენ, რაც მათ დასაქმებულთა შორის ერთ-ერთ ყველაზე მონყვლად კატეგორიად აქცევს.¹⁹
- გ. კანონმდებლობა ბუნდოვანია სუროგატი დედების შემთხვევაში (იგულისხმება ორივე: დედა, რომელიც ბავშვს აჩენს და დედა, რომელიც ბავშვს ზრდის) და მკაფიოდ არ ასახავს დეკრეტული შვებულების პირობებს ამ ორი ჯგუფის წარმომადგენლებისთვის. დეკრეტული შვებულება ასევე ცუდადაა განმარტებული იმ დედების შემთხვევაში, ვინც ბავშვს იყვანს.²⁰

დახმარება მართოხელა დედებისთვის

საქართველოში მართოხელა დედა ინდივიდია, რომელიც დაქორწინებული არ არის და ჰყავს 18 წლამდე ბიოლოგიური ან აყვანილი შვილი, რომლის მამის სახელი დაბადების მონმობაში მითითებული არ არის.²¹ ასეთი ვიწრო განსაზღვრება სირთულეებს უქმნის ისეთ მართოხელა დედებს, რომლებიც ქორწინებაში არ იმყოფებიან და მართო ზრდიან შვილებს, მამის დახმარების გარეშე, რომლის სახელიც ბავშვის დაბადების მონმობაში ფიგურირებს. მართოხელა მშობლის სტატუსი ძალას მას შემდეგ კარგავს, რაც ბავშვი 18 წლის ასაკს მიაღწევს.

მიუხედავად იმისა, რომ კანონი მართოხელა მშობლებისთვის სოციალური და სამართლებრივი

გარანტიების განსაზღვრას გვთხოვს საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში,²² მართხელა დედებისთვის შესაბამისი სოციალური დახმარების სქემა არ არსებობს. მათთვის გამოყოფილი ერთადერთი შეღავათი გადასახადებისგან გათავისუფლებაა იმ შემთხვევაში, თუ მათი წლიური შემოსავალი 3 000 ლარზე ნაკლებია. კონკრეტული სოციალური დახმარების სქემის არარსებობა ნათელს ხდის, რომ საქართველოში

სოციალური დაცვის სისტემა არ ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ მართხელა დედები თავად არჩენენ ოჯახს, ხოლო მშობიარობის შემდეგ ოჯახის მარჩენალისა და ბავშვის მომვლელის ფუნქციების შეთავსება რთულია მათთვის. უფრო მეტიც, შრომის ბაზრისთვის დამახასიათებელი გენდერული უთანასწორობისა და არასტაბილურობის პირობებში, მართხელა მშობლისთვის დახმარების არარსებობა ქალებზე განსაკუთრებით აისახება.


კოვიდ-19 და სოციალური დაცვა

საქართველოში მთელი რიგი სოციალური დაცვის პროგრამები გაფართოვდა ან დაინერგა კოვიდ 19-ის პანდემიის საპასუხოდ. მართალია, მათგან უმსხვილეს პროგრამას თანაბარი სარგებელი მოჰქონდა მინამეურნეობებისთვის, რომელთა უფროსებიც კაცები

ან ქალები იყვნენ, უფრო მცირე მასშტაბის პროგრამები, მათ შორის ერთჯერადი დახმარება 18 წლამდე ბავშვებისთვის, მეტად სასარგებლო იყო კაცების მიერ მართული ოჯახებისთვის (გრაფიკი 3).

გრაფიკი 3

იმ ოჯახების წილი, ვინც კოვიდ 19-ის გავლენის შესამცირებელი სახელმწიფო პროგრამებისგან სარგებელი მიიღეს, შინამეურნეობის უფროსის სქესის მიხედვით



წყარო: გაეროს ბავშვთა ფონდი და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური 2020.

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ მნიშვნელოვანია სოციალური დაცვის ისეთი სისტემის უზრუნველყოფა, რომელშიც ქალთა უფლებები და საჭიროებები იქნება გათვალისწინებული. ხანდაზმულობის საპენსიო სისტემის, დედობის დაცვის, მართხელა დედების დახმარებისა და მარჩენალდაკარგულთა შემწეობის სქემების განხილვა ნათელიყოფს, რომ არსებულ პროგრამებს გენდერულად სენსიტიური მიდგომა აკლია და მონყვლადი ჯგუფების კონკრეტულ საჭიროებებს არ

პასუხობს. ინტერსექციონალური მიდგომის არარსებობის გამო კი პოტენციური ბენეფიციარები სოციალური დაცვის სისტემის გარეთ რჩებიან. ამ საკითხების გადასაწყვეტად პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი შრომის კოდექსის ცვლილებაა ისე, რომ იგი შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის დედობის დაცვის 2000 (#183) კონვენციასა და მშობელთა და მზრუნველთათვის შრომისა და ცხოვრების ბალანსის შესახებ ევროკავშირის 2019/1158 დირექტივასთან შესაბამისობაში მოვიდეს.

სქოლიო

- 1 შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია 2017.
- 2 გაეროს გენერალური ასამბლეა 1979, მუხლ. 11, პუნქტ. 1(e).
- 3 გაეროს ქალთა ორგანიზაცია 2021.
- 4 შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია და გაეროს ქალთა ორგანიზაცია 2020.
- 5 გაეროს ქალთა ორგანიზაცია 2020.
- 6 შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია და გაეროს ქალთა ორგანიზაცია 2020.
- 7 საქართველოს ფინანსთა სამინისტრო 2021.
- 8 გაეროს ბავშვთა ფონდი და ანალიზისა და კონსულტაციის ჯგუფი 2018.
- 9 გაეროს ბავშვთა ფონდი 2019.
- 10 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური 2020.
- 11 გაეროს ქალთა ორგანიზაცია, გაეროს ბავშვთა ფონდი და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური 2021.
- 12 შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია 2017.



- 13 ჯეიმსი, 2009.
- 14 შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია და გაეროს ქალთა ორგანიზაცია 2020.
- 15 საჯარო სამსახურის შესახებ კანონი ყველა საჯარო უწყებას არ ფარავს; შესაბამისად, საჯარო მოხელეების მნიშვნელოვანი ნაწილი საჯარო მოხელის სტატუსით არ სარგებლობს.
- 16 გაეროს ქალთა ორგანიზაცია და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული საერთაშორისო ეკონომიკის სკოლის საჯარო პოლიტიკის ინსტიტუტი 2021ა.
- 17 იქვე.

- 18 იქვე.
- 19 გაეროს ქალთა ორგანიზაცია და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული საერთაშორისო ეკონომიკის სკოლის საჯარო პოლიტიკის ინსტიტუტი 2021ბ.
- 20 გაეროს ქალთა ორგანიზაცია და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული საერთაშორისო ეკონომიკის სკოლის საჯარო პოლიტიკის ინსტიტუტი 2021ა.
- 21 საქართველოს იუსტიციის სამინისტრო 2015; საქართველოს პარლამენტი 2014, მუხლ. 11911.
- 22 საქართველოს პარლამენტი 2014, მუხლ. 11911, პუნქტ. 5.

წყაროები

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020, სოციალური უზრუნველყოფა. ხელმისაწვდომია: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/55/sotsialuri-uzrunvelqofa>.

ILO (International Labour Organization). 2017. Universal social protection to achieve the Sustainable Development Goals. Geneva: ILO. https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---dgreports/---dcomm/---publ/documents/publication/wcms_604882.pdf.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO) და გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UNWOMAN), 2020, საქართველოში სოციალური დაცვის სისტემის შეფასება. ხელმისაწვდომია: <https://georgia.unwomen.org/en/digital-library/publications/2020/12/assessment-of-the-social-protection-system-in-georgia>.

James, E. 2009. "Rethinking Survivor Benefits." SP Discussion Paper No. 0928. Washington, DC: World Bank.

Ministry of Finance of Georgia. 2021. "Expenditure by Functions of Government of Georgia." Accessed 8 December 2021. <https://mof.ge/en/4886>.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, 2015, საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება #79/#01-18/6, მარტოხელა მშობლის სტატუსის დადგენისა და შესაბამის პირთა შესახებ მონაცემების წარმოების წესის დამტკიცების შესახებ. ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2875417?publication=0>

საქართველოს პარლამენტი, 2014, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=116>

UN General Assembly (United Nations General Assembly). 1979. Convention on the Elimination of All Forms of Discrimination against Women. <https://www.ohchr.org/en/professionalinterest/pages/cedaw.aspx>.

გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN WOMEN), 2020, გენდერული სახელფასო სხვაობა და უთანასწორობა საქართველოს შრომის ბაზარზე. თბილისი, გაეროს ქალთა ორგანიზაცია. ხელმისაწვდომია: <https://georgia.unwomen.org/ka/digital-library/publications/2020/03/analysis-of-the-gender-pay-gap-and-gender-inequality-in-the-labor-market-in-georgia>

_____, 2021, ქვეყნის გენდერული თანასწორობის პროფილი, საქართველო. თბილისი, გაეროს ქალთა ორგანიზაცია. ხელმისაწვდომია: https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2022-02/Country%20Gender%20Equality%20Profile%20of%20Georgia%202021%20-%20GEO_final%20%283%29.pdf.

გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN WOMEN) და ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი, 2021ა. რეგულირების ზეგავლენის შეფასება ILO-ს 183-ე კონვენცია დედობის დაცვის შესახებ, თბილისი, გაეროს ქალთა ორგანიზაცია. ხელმისაწვდომია: <https://georgia.unwomen.org/ka/digital-library/publications/2021/05/regulatory-impact-assessment-of-ilo-c183---maternity-protection-convention>.

_____, 2021ბ. რეგულირების ზეგავლენის შეფასება ILO-ს 189-ე კონვენცია ოჯახში დასაქმებულების შესახებ, თბილისი, გაეროს ქალთა ორგანიზაცია. ხელმისაწვდომია: <https://georgia.unwomen.org/ka/digital-library/publications/2021/05/regulatory-impact-assessment-of-ilo-c189-domestic-workers-convention>.

გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN WOMEN), გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF) და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2021. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალები და ბავშვები საქართველოში: მონაცემების მიმოხილვა. თბილისი, გაეროს ქალთა ორგანიზაცია.

გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), 2019. მიზნობრივი სოციალური დახმარებისა და ბავშვთა სიღარიბის სიღრმისეული ანალიზი და სოციალური ტრანსფერებით სიღარიბის შემცირების სიმულაცია თბილისი, გაეროს ბავშვთა ფონდი. ხელმისაწვდომია: <https://uni.cf/3f604e>.

გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF) და ანალიზისა და კონსულტაციის ჯგუფი (ACT), 2018, ბავშვებისა და მათი ოჯახების კეთილდღეობა საქართველოში: საქართველოს კეთილდღეობის მონიტორინგის გამოკითხვა, მეხუთე ეტაპი 2017, თბილისი, გაეროს ბავშვთა ფონდი. ხელმისაწვდომია: <https://uni.cf/31SioVt>.

გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF) და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2018, მიქსი საქართველო, მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა. ხელმისაწვდომია: https://www.unicef.org/georgia/media/5896/file/Mics_Georgian.pdf.

დოკუმენტი მომზადებულია გაეროს ქალთა ორგანიზაციის რეგიონული პროექტის „ქალთა ეკონომიკური გაძლიერება სამხრეთ კავკასიაში“ და პროექტის „კარგი მმართველობა გენდერული თანასწორობისთვის საქართველოში“ ფარგლებში, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს, ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის და ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით.